სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N176/2 ხელშეკრულების დამატება N1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2013 წლის 4 ნოემბრის N176/2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. ხობი 25 ნოემბერი 2013წ

წინამდებარე ხელშეკრულების დამატება შედგენილია 2013 წლის 25 ნოემბერს, ერთის მხრივ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გოჩა ქაჯაიას სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „გიორგი ქორთუა" (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, გიორგი ქორთუას სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2013 წლის 4 ნოემბრის N176/2 (ნოჯიხევის თემში სოფელ ნაფოშტუში საყანე ფართობთან მისასვლელი ხიდის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა) ხელშეკრულების შესაბამისად.

მხარეების მიერ გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისათვის შექმნილი კონტროლის ჯგუფის უფროსის ბადრი ჯობავას მოხსენებითი ბარათით (10/2683 22.11. 2013წ.), წარმოდგენილი კონტროლის ჯგუფის დასკვნა, სადაც აღნიშნავენ, რომ კონტროლის ჯგუფის მიერ განხილულ იქნა ი/მ „გიორგი ქორთუა"-ს მიერ წარმოდგენილი წერილი (N07/1348 07.11.2013 წ), რომელშიც მიმწოდებელი აღნიშნავს სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოშობილი ახალი გარემოებების შესახებ კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ ხიდის მშენებლობის დაწყების შემთხვევაში აუცილებელია ხიდის ბურჯებისათვის თხრილების მოწყობა, რაც ხელს შეუშლიდა მოსახლეობის მოსავლის დაბინავებას, (იკეტებოდა საყანე ფართობებთან მისასვლელი გზა), შესაბამისად ითხოვს ვადის გაგრძელებას 7 კალენდარული დღით

მხარეები შევთანხმდით შემდეგზე:

1 . შეიცვალოს 2013 წლის 4 ნოემბრისს N176/2 ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

მუხლი 4. „სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი"

4.1 ნოჯიხევის თემში სოფელ ნაფოშტუში საყანე ფართობთან მისასვლელი ხიდის მშენებლობის სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით.

2. შეიცვალოს 2013 წლის 4 ნოემბრის 176/2 ხელშეკრულების მე-18 მუხლის 18.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

18.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 7 იანვრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ხელშეკრულების დამატება 2013 წლის 4 ნოემბრის N176/2 ხელშეკრულების დანამატს და მის განუყოფელ ნაწილს.

5. წინამდებარე ხელშეკრულების დამატება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებლთან, სამი ეგზემპლარი _ შემსყიდველ ორგანიზაციაში.

6. ხელშეკრულების დამატება N1 ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

7. წინამდებარე ხელშეკრულების დამატება N1 შედგენილია მხარეების მიერ, რასაც ვეთანხმებით და ვაწერთ ხელს.

საფუძველი:

1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისათვის შექმნილი კონტროლის ჯგუფის უფროსის ბადრი ჯობავას მოხსენებითი ბარათი (10/2683 22.11. 2013წ).

ცვლილება შეთანხმებულია:

1. გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი: ბ. ჯობავა

2. გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: ა. სართანია

3. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლ. ჭოჭუა

4. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი: ბ. შონია

5. ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: შ. სირაძე

მხარეთა ხელისმოწერა და ბეჭედი:

„შემსყიდველი“

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

გოჩა ქაჯაია

„მიმწოდებელი“

ინდივიდუალური მეწარმე

გიორგი ქორთუა